

მარჯო, თამაზ!

რიცხვების ტრფიალია, უყვარს მათზე ფიქრი, მათი ჩხრეკა (მას სურს, მისი გვარი მჩხრეკელიდან მოდიოდეს) . ეს მისი პოზია. “მშრალ რიცხვების ამარა?...” ვეუბნებოდი. ის იღიმოდა. თუ მშრალი აქ ლიტონს და ცარიელს გულისხმობდა, არ ვიყავი სწორი. ისინი მისთვის ცოცხალი, გაშინაარსებული ინდივიდუალობებია, თავისთავადნი. ყოველ თარიღს, როგორც ზღურბლს და მიჯნას, საკუთარი გამოხედვა აქვს. “ვუახლოვდები მეოთხე დეცენიუმს”, ამბობდა მესამის შუაწელზე მდგარი, ჩვენი მეგობრობის გარიჟრაჟზე. რა ბედნიერები, ხართ ჯერ მესამისთვის არ მიგიღწევიათო! შეუძლია ყოფითი (და სულიერიც კი) გამოცდილება რიცხვებში გადაიყვანოს, რიცხვების ენაზე თარგმნოს, გაარიცხვიანოს. პითაგორას გვიანი მოწაფე განიცდის მუდმივ განცვიფრებას (ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობითაც: ექსტასის) მათ იღუმალებათა, უხილავ და მდუმარე კავშირთა წინაშე ყოფიერების ყველა შრესთან, მათ დრამატიზმს, ფანტასტიკისა და უცხადესი რეალობის ზღვარზე. დღეს, ამ დღეს, ნოემბრის დრუბლიან 26-ს, ის მეშიდე დეცენიუმის შუაძალს მიუახლოვდა.

75 – ლამაზი, მოხდენილი, გაწონასწორებული, დარბაისელი, წრფელი ციფრი თავისი გრაფიკით, ფონეტიკით, იღუმალშინაარსიანი თავისი ორივე შემადგენლით – თითოეული მათგანით და მათი ჯამით. ჰგავს თუ არა ის თავის პატრონს? დღეს არ შეიძლება მისი მტვირთველი ამაზე არ ფიქრობდეს, არ ასიტყვიანებდეს მათ. მას უკვე გადატანილი ექნება ეს რიცხვი მშობლიური ასომთავრულის ასონიშანთა სისტემაში, ნებისმიერ შესაძლებელ განზომილებაში, ისოფსეფიისა თუ გემატრიის წესების თანახმად, სეპტიმალურ შესაბამისობებში, ფანტასტიური, როგორც თავად იტყვის, შედეგებით. მისი თვალი რენტგენის სხივით ააშკარავებს მისი სათაყვანებელი, გამუდმებული განცვიფრების ობიექტის ასომთავრულის თაურხატს, როგორც დემიურგული შემოქმედების პირველნაყოფს, იმთავითვე სრულყოფილად

შექმნილს, რომლის ფენომენები თავის თავშივე ინახავენ თავიანთ მეტაფიზიკურ პირველსახეთ. ის ჭვრეტს უხილავ ჩარჩოს, როგორც ბუდეს, რომელშიც მინანქარივით არის ჩასხმული ასონიშნის კონფიგურაცია. თითოეული ნიშანი თითქოს ვერსიფიკაციული ქმნილებაა, რომელსაც თავისი საკუთარი განუმეორებელი წყობა აქვს.

მას უყვარს ასტრალურ, უფრო მზის მიქცევ-მოქცევის, სიმბოლოთა, ყველასგან დავიწყებულ სიტყვათა გამოსხმობა. წიგნებსაც ამ სამყაროდან არქმევს სახელებს. მზებუდობა, მარიოტა (“ულამაზესი მარიოტა: მზისა და მთვარის...”), მშვენიერი მძლევაარი. ისინივე შეადგენენ ლექსების სათაურებს, თუ არა – მის თემებს და შინაარსებს. არ განცვიფრებთ დეკნა? “დეკნა ესე გრკალი ცისა, სამხრით კერძო, რომელსა ზედა მზე ზამთარ მას ვერ გასცილდება?”

მას უყვარს თხრობა. ის გატაცებული ნარატორია. ეს მისი მოწოდებაა. მეგობართა ქცევა-ნაუბარის ხსოვნის მარაგიდან გამოსხმობა. ადამიანების ხსოვნა-გახსენება მათ ნათქვამთან ერთად, დიალოგიურთ. და ყოველი თავს გადახდენილი ამბის ან მოსმენილის აღბეჭდვა ზუსტი თარიღით (განუმეორებლის წინაშე თანდაყოლილი პიეტეტი), თავისი უნიკალური მდებარეობით დროსა და სივრცეში. არა ოდესღაც და სადმე, არამედ “მაშინ, როცა” და “იქ, სადაც”, ჩაბეჭდილი ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილზე მარადისობას გამოტაცებულ ჟამში (“ვით დროის მიღმა დამდგარი ჟამი”). ის დგას, ის ლაპარაკობს... მეგობრის მხარს არის დაყრდნობილი...

ანახორეტი, განდევნილი, დაყუდებული... თავის თვისის მწყემსი და გუშაგი. თავისთავადი. მცირედით კმაყოფილი, არც კმაყოფილი, მოწყობილ-მოუწყობელი, უჭმი და უსმი, ოთახის სივრცეს, მშვიდ ბუნავს შეკედლებული, არც დატოვებს, სანამ ჰაერის ნაკადების სასუნთქად სარკმლის განხმა შეეძლება. ასკეტი თუ სიბარიტი? სადღაც ამათ შორის. გასცქერის ტკბილ-მწარე ნაღველით ვერისხევის მიდამოებს, მაღლა თრიალეთის ფერდოებს. მზებუდობის ერთ ეგზემპლარს ასეთი

მიძღვნა აქვს: “აი, რა სევდიანი მეგობარი გყავს...” ასეთ ხალისიანს? სევდიანი მზებუდობა? სევდა მზებუდობისა? სევდა მზებუდობაში, საიდანაც იწყება იმედი? და მაინც, რაც უნდა კმაყოფილი ჩანდეს სხვის თვალში ავტორი, წიგნი სხვას მეტყველებს. რატომ არ მეტყველებს სიხალისეს? საიდან მოდის? გარედან გროვდება ნაღველი, თუ ღრმად არის ჩაბუდებული, იმის განცდა, რომ “ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას”? წავიკითხოთ და განვიცადოთ – “რადგან დრო ახლა არ არის ის დრო, რაც იღუმალის ხელმა დათესა”; წავიკითხოთ – “დრო თავის უხმო, უძღვებ წიაღში შეუბრალებლად ყრის იმედს, ნაღველს...”, წავიკითხოთ და დავფიქრდეთ, არ გვეცნაურება? – “ის გაიზარდა, – ის, – ერთი წამი, როგორც ურჩხული და შემზარავად დიდი მწერივით შიგანში მიქცევს. ის ერთი წამი – გველის წიწილა – უზარმაზარი დრო არის ახლა, რომელიც სინდისს მრავალწახნაგას გამუდმებული ყრუ მიმოქცევით ზღვის კენჭებივით ცვეთს და აგლუვებს.”

მაგრამ მას უყვარს გაუცვეთელი, თუმცა გამოცდილი, გამოხურებულნი, დროჟამს გამოტარებული სიტყვები, “ძველ ღვინოსავით ჭვირვალე”, არცთუ არქაული, ყავლგასული – მტკიცე (და ლბილიც, სურნელოვანიც) მასალა თუნდაც უსიხარულო სტრიქონთა ასაგებად. ფილიგრანობა მისი სახელმოდგამი ოქრომჭედელი პაპიდან მომდინარე გენეტური მემკვიდრეობაა. სტრიქონი დაოკებულია, თავის ბუდე-კალაპოტში მდინარი, ზღვარდადებული, არა მოვარდნილი მეწყერი. სტრიქონიდან სტრიქონში მოძრაობს გახედნილი სიტყვა, თუ არა – თავად სტრიქონში იხედნება. დემიურგი გამოიხმობს, აყურადებს, აკვირდება მათ დინებას, აბამს აშვებულს. თუ სადმე მოიძებნებოდა, სალექსო მეტრად მისთვის მაგალითი ჩინურ-იაპონური ლაკონიზმი უნდა ყოფილიყო. მოიძებნა დეცენიუმების უკან. აქედან წარმოიშვა ქართული ბოძიუი, შედევრი, რომელსაც წინაპარი არ ჰყოლია. თუ იმ იმედიანი სიტყვების უიმედო დროში რამ შექმნილა, ეს შეუდარებელი ჩინურ-ქართული საოცრება იყო და რჩება და გასტანს (კიდევ რამდენ!) ათწლეულს.

თამაზ, ოდესმე მას უამს, საბოლოო დეცენიუმში, როცა “დადგება ყოვლის ბოლო და ყოვლის ჯამი” და “გან-რად-ედოს წიგნი დღესა შინა სასჯელისასა”, თუკი რაიმე გაგვამართლებს მის წინაშე, გწამდეს, ამ ქვეყნის დაუვიწყარ გზებზე ჩვენი ხეტიალი და შეუდარებელ დაბაქალაქებში ღამისთევანიც იქნება. კვლავაც გუშაგობ. მარჯი!

ზურაბ კიკნაძე